ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №550275

ნომერი: AR1106291

თარიღი : 30.01.2013

გაცემის თარიღი : 18.02.2013

გაცნობის თარიღი : 18.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ნაკვეთი 02/010 ; ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ნაკვეთი 02/012 ; ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ჩრდილოეთ მხარეს (ნაკვეთი 02/013);

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარი ქოქიაშვილი პ/ნ 01023000872
- დ.გურამიშვილის გამზ, 41ა

ორგანიზაცია:
- შპს ახალი ოფისი კოდი: 204559067

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის№1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

შპს "ახალი ოფისი"-ს დირექტორის წარმომადგენელმა მარი ქოქიაშვილმა (მინდობილობის №121323809) 2013 წლის 30 იანვრის №AR1106291 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის

ცვლილებასთან დაკავშირებით და აღნიშნულ პირობებში ცვლილების შეტანის 2013 წლის 28 იანვრის №514986 ბრძანებიდან შენიშვნის ამოღება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 20 დეკემბერს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედანზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (3956.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი №01.15.04.002.012) ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ ნაწილის რეკონსტრუქციის მიზნით დადგენილ იქნა №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

2011 წლის 20 დეკემბრის №1879 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის №480195 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება და საპროექტო მიწის ნაკვეთს დაემატა №01.15.04.002.013 საკადასტრო ერთეული და შენიშვნის სახით მითითებული იქნა, რომ "პროექტის შეთანხმების სტადიაზე დამკვეთს დაევალოს ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდის №01.15.04.002.013) ძირითად მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და მისი საკუთრებაში აღრიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად".

დღეის მდგომარეობით განმცხადებელი ითხოვს ამოღებული იქნას ზემოაღნიშნული შენიშვნა, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაცემულია მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით, ხოლო მისი მესაკუთრე რჩება სახელმწიფო, შესაბამისად მისი ძირითად მიწის ნაკვეთთან გაერთიანება ვერ განხორციელდება, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული შენიშვნის ამოღება.

გარდა ამისა, მოხდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდისა და ფართის ცვლილება და ფართობი 3956 კვ.მ ნაცვლად გახდა 3259 კვ.მ , ხოლო საკადასტრო კოდი №01.15.04.002.012-ის ნაცვლად №01.15.04.002.014.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს შპს "ახალი ოფისი"-ს დირექტორის წარმომადგენელის მარი ქოქიაშვილის 2013 წლის 30 იანვრის №AR1106291 განცხადება.

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.15.04.002.012-ის ნაცვლად მიეთითოს №01.15.04.002.014, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართად 3956 კვ.მ.-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 3259 კვ.მ;

3. სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის 2013 წლის 20 დეკემბრის №480194 ბრძანებიდან ამოღებულ იქნეს შენიშვნა"პროექტის შეთანხმების სტადიაზე დამკვეთს დაევალოს ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდის №01.15.04.002.013) ძირითად მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და მისი საკუთრებაში აღრიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად";

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და 2013 წლის 20 დეკემბრის №480194 ბრძანებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.